ქ ი რ ა ვ ნ ო ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

№117

ქ. თბილისი 2011 წლის 24 იანვარი

ერთი მხრივ, შპს „ბაჯითი“ (შემდგომში “გამქირავებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ კვეტენაძის მიერ და მეორე მხრივ, სს “თიბისი ბანკი” (შემდგომში “დამქირავებელი”), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვახტანგ ბუცხრიკიძის მიერ, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 გამქირავებელმა სარგებლობაში გადასცა (მიაქირავა), ხოლო დამქირავებელმა სარგებლობაში მიიღო (იქირავა) უძრავი ნივთი (არასაცხოვრებელი ფართობი) 480 (ოთხას ოთხმოცი) კვ.მ., მდებარე მის.: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33. საკადასტრო კოდის №01.14.14.004.007.01.500 (შემდგომში „ქირავნობის საგანი“).

1.2 დამქირავებელი გამქირავებელს გადაუხდის ქირას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით.

1.3 გამქირავებელი დამქირავებელს ანიჭებს ქირავნობის საგნის დაქირავების (იჯარით აღების) უპირატეს უფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ 6 (ექვსი) თვის გასვლამდე, ქირავნობის საგნის მესამე პირისთვის მიქირავების (იჯარით გადაცემის) სურვილის არსებობის შემთხვევაში, გამქირავებელი ვალდებული იქნება ქირავნობის საგნის დაქირავება (იჯარით აღება) შესაბამისი პირობების მითითებით წერილობით შესთავაზოს დამქირავებელს და ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში შეთავაზებაში აღნიშნული პირობებით დადოს მასთან შესაბამისი ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი შეთავაზების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში დამქირავებელი არ გამოთქვამს თანხმობას, გამქირავებელს უფლება ექნება მიაქირაოს (იჯარით გადასცეს) ქირავნობის საგანი შეტყობინებაში მითითებულ პირს, შეტყობინებაში მითითებული პირობებით.

2. ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადა

2.1 ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადა განისაზღვრება 10 (ათი) წლით.

2.2 ვადის ათვლა იწყება 2011 წლის 1 მარტიდან და გრძელდება 2021 წლის 1 მარტამდე.

2.3 იმ შემთხვევაში, თუ ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე არც ერთი მხარე მეორე მხარის წინაშე წერილობით არ გამოთქვამს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს, ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადა ავტომატურად გაგრძელდება ერთი წლით. იგივე წესი იმოქმედებს ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადის ყოველი შემდგომი გაგრძელებისას.

2.4 დამქირავებელს ნებისმიერ დროს შეუძლია ცალმხრივად შეამციროს ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადა, ან შეწყვიტოს ქირავნობის საგნით სარგებლობა და ქირის გადახდა 4 (ოთხი) თვით ადრე გამქირავებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით.

2.5 გამქირავებელს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეამციროს ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადა, ან მოსთხოვოს დამქირავებელს ქირავნობის საგნით სარგებლობის შეწყვეტა.

3. ქირის ოდენობა, მისი შეცვლისა და გადახდის წესი

3.1 ქირავნობის საგნის ყოველთვიური ქირა შეადგენს 5,000.00 (ხუთი ათასი) აშშ დოლარს ეკვ. ლარში გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად, დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ქირის გადახდა მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი მიმდინარე თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვისა, მხოლოდ ინვოისის ან ანგარიშ-ფაქტურის დამქირავებლისთვის წარდგენის შემდეგ 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის გზით.

3.3 დამქირავებელი პასუხს არ აგებს ქირავნობის საგანთან და ქირასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდაზე.

3.4 ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) წლის გასვლის შემდეგ მხარეები ხელახლა შეთანხმდებიან ქირის ოდენობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ქირა არ უნდა გაიზარდოს ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით შეთანხმებულ ოდენობის 30(ოცდაათი)%-ზე მეტით, ქირის ოდენობის შეცვლა გაფორმდება ამ ხელშეკრულების ცვლილების ხელმოწერით.

3.5 იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ქირის ოდენობაზე, მას განსაზღვრავენ მხარეთა მიერ მოწვეული უძრავი ქონების ექსპერტები. მხარეები ვალდებულნი იქნებიან

გამქირავებელი დამქირავებელი

დაეთხმონ სამი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ განსაზღვრულ ქირის ოდენობას და ეს თანხმობა გააფორმონ ამ ხელშეკრულების ცვლილების ხელმოწერით.

4. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

4.1 **გამქირავებელი ვალდებულია:**

4.1.1 წარუდგინოს დამქირავებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ათი საბანკო დღის განმავლობაში ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ქირავნობის საგანი, ნამდვილად წარმოადგენს გამქირავებლის საკუთრებას და რომ მესამე პირებს არ გააჩნიათ უფლებები ქირავნობის საგანზე, კერძოდ ძალაში მყოფი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში დამქირავებელს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება 2.4 პუნქტის დაუცველად.

4.1.2 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით გადასცეს დამქირავებელს ქირავნობის საგანი;

4.1.3 გადაიხადოს ქირავნობის საგანთან და ქირასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადი, გარდა კომუნალური გადასახადებისა;

4.1.4 არ გაზარდოს ქირა, ამავე ხელშეკრულების 3.4 და 3.5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა;

4.1.5 არ ჩაერიოს დამქირავებლის საქმიანობაში და ხელი შეუწყოს დამქირავებელს ქირავნობის საგნის შეუფერხებელ და შეუზღუდავ გამოყენებაში;

4.1.6 დამქირავებლის მიერ ამ ხელშეკრულების 4.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, ყველა საჭირო საშუალებით (მათ შორის შესაბამისი საბუთების ხელმოწერით) დაეხმაროს დამქირავებელს შესაბამისი ნებართვ(ებ)ის ან უფლებ(ებ)ის მიღებაში;

4.1.7 იმ შემთხვევაში, თუ გაყიდის, გაასხვისებს, გააჩუქებს, ან სხვაგვარად გადასცემს თავის საკუთრების უფლებას ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღწერილ ქირავნობის საგანზე, ფართობის გადაცემის აქტში (ხელშეკრულებაში) შეიტანოს საგარანტიო პუნქტი, რომელიც მოიცავს ამ ხელშეკრულების ყველა აუცილებელ პირობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში აქ მოცემული შეთანხმებები მთელი სისრულით იმოქმედებს ახალ მესაკუთრესთან მიმართებაშიც.

4.1.8 უძრავი ქონების მესაკუთრის ვალდებულების შესასრულებლად ქონების იძულებითი წესით აუქციონზე რეალიზაციის შემთხვევაში, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებები გადავა ახალ მესაკუთრეზე.

4.1.9 ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გამქირავებელს უფლება არ აქვს დამქირავებლის თანხმობის გარეშე იპოთეკით დატვირთოს ქირავნობის საგანი.

4.2 **დამქირავებელი ვალდებულია:**

4.2.1 დროულად გადაიხადოს ქირა;

4.2.2 გადაიხადოს ქირავნობის საგნით სარგებლობის დროს კომუნალური გადასახადები;

4.2.3 შეინახოს ქირავნობის საგანი ნორმალურ და გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ქირავნობის საგნის ნორმალური ცვეთა და ბუნების დაუძლეველი ძალით ზიანის მიყენება.

4.3 **დამქირავებელს უფლება აქვს:**

4.3.1 საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი ხარჯებით შეაკეთოს და გაარემონტოს ქირავნობის საგანი.

4.3.2 დაკიდოს და გამოაკრას აბრები (მათ შორის სარეკლამო შინაარსის), დაამონტაჟოს ბანკომატი და სხვა მოწყობილობები ქირავნობის საგნის შიდა და გარე კედლებზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2 ქირის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, დამქირავებელს დაეკისრება გამქირავებლის სასარგებლოდ პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3 პირგასამტეხლოს დაკისრება მხარეთა უფლებაა და არც ერთ მხარეს არ აქვს ცალსახა ვალდებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა.

5.4 დამქირავებელს, როგორც კომერციულ ბანკს, უფლება აქვს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი გამქირავებლის ვალდებულებების შესრულების მიზნით, გამქირავებლის შემდგომი თანხმობის, ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხები გამქირავებლის ნებისმიერი ანგარიშიდან.

6. სხვა პირობები

გამქირავებელი

დამქირავებელი

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

6.2 ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დამქირავებელი განახორციელებს მისი კუთვნილი ტექნიკის, აივჯის და მოწყობილობების დემონტაჟს, ხოლო ისეთი სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალები, რომლის ქირავნობის საგნისგან განცალკავება შეუძლებელი იქნება ქირავნობის საგნის იერსახის შეცვლის გარეშე (მაგ. ჭერი, მილები და ა.შ), გადავა გამქირავებლის საკუთრებაში, მხოლოდ დამქირავებლისათვის შეწყვეტის მომენტისათვის საბაზრო ღირებულების 15.5% (დღგ) ანაზღაურების შემდეგ.

6.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება უნდა შესრულდეს ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

6.4 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობება ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე და წარმომადგენლობაზე.

6.5 ეს ხელშეკრულება წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.6 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო.

6.7 ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

6.8 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა დამქირავებელს, ერთი – გამქირავებელს.

მხარეთა ხელმოწერები:

"გამქირავებელი" **შპს "ბაჯითი"**	"დამქირავებელი" **სს "თიბისი ბანკი"**
საიდენტიფიკაციო ნომერი: **401948041**	საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595
მის.: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის 100	მის.: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7
სს "თიბისი ბანკის" / ბანკის კოდი : 220101850	
ანგ. № **GE64TB7994836020100001**/ GEL	

18001002857.

გამქირავებელი

დამქირავებელი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა
ქირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

თბილისი

2011 წლის 10 თებერვალი

ერთი მხრივ, **შპს "ბაჯითი"** (შემდგომში "გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, მიხეილ კვეტენაძის მიერ, მეორე მხრივ, **სს "თიბისი ბანკი"** (შემდგომში "დამქირავებელი"/"მყიდველი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ბუცხრიკიძის მიერ და მესამე მხრივ, **შპს "სოფთმასტერი"** (შემდგომში "გამყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ კვეტენაძის მიერ, გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის 2011 წლის 24 იანვარს დადებული ქირავნობის ხელშეკრულების (შემდგომში "ძირითადი ხელშეკრულების") 6.3 პუნქტის, დამქირავებელსა და გამყიდველს შორის 2011 წლის 9 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა (შემდგომში "ნასყიდობის ხელშეკრულების") და გამყიდველის მიერ 2011 წლის 10 თებერვალს ხელმოწერილი თავდების განცხადების საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1.1 შეიცვალოს ძირითადი ხელშეკრულების 1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"1.1. გამქირავებელმა სარგებლობაში გადასცა (მიაქირავა), ხოლო დამქირავებელმა სარგებლობაში მიიღო (იქირავა) უძრავი ნივთი (არასაცხოვრებელი ფართობი) 457,42 კვ.მ., მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33, საკადასტრო კოდი: 01.14.14.004.007.01.500 (შემდგომში „ქირავნობის საგანი")."

1.2 შეიცვალოს ძირითადი ხელშეკრულების 3.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"3.1 ყოველთვიური ქირა შეადგენს 4 900 (ოთხი ათას ცხრაასი) აშშ დოლარს ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად) დღგ-ს ჩათვლით."

1.3 ძირითად ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.6 პუნქტი:

1.4 **"3.6 იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი დაარღვევს ნასყიდობის ხელშეკრულების 5.6 პუნქტით ნაკისრ ვალდებულებას (დამქირავებლის მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში არ გამოასწორებს ნასყიდობის საგნის ხარვეზს/ნაკლს ან არ გადაუხდის დამქირავებელს შესაბამის თანხას) დამქირავებელს უფლება ექნება გამქირავებელს, როგორც თავდებს მოსთხოვოს შესაბამისი თანხის გადახდა ან გამყიდველის მიერ დამქირავებლისთვის გადასახდელი თანხის ტოლი ოდენობით შეამციროს შესაბამისი თვის განმავლობაში ქირავნობის საგნით სარგებლობის სანაცვლოდ გამქირავებლისთვის გადასახდელი ქირის ოდენობა."**

1.5 ძირითად ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.7 პუნქტი:
"3.7 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების 3.6 პუნქტის საფუძველზე დამქირავებელი გამქირავებელს მოსთხოვს გამყიდველის ნაცვლად თანხის გადახდას, გამქირავებელი (როგორც თავდები) ვალდებული იქნება დამქირავებლის მიერ მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა სრულად გადაუხადოს დამქირავებელს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი თანხა."

1.6 ძირითად ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.8 პუნქტი:
"3.8 ამ ხელშეკრულების 3.7 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში გამქირავებელი ვალდებული იქნება გადაუხადოს დამქირავებელს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების 3.7 პუნქტის საფუძველზე გამქირავებლის (როგორც თავდების) მიერ გადასახდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით ვალდებულების შესრულების ვადისთვის გადაცილებული ყოველი დღისთვის."

1.7 ძირითად ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.9 პუნქტი:
"3.9 გამყიდველის (როგორც თავდების) პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 200 000 (ორასი ათასი) ლარით."

1.8 ძირითად ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.10 პუნქტი:
"3.10 ამ ხელშეკრულების 3.6 პუნქტით დამქირავებლისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელებასთან (გამოყენებასთან) დაკავშირებით გამქირავებელსა და გამყიდველს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება გამქირავებელსა და გამყიდველს შორის გაფორმებული შეთანხმებით."

1.9 შეიცვალოს ძირითადი ხელშეკრულების 6.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"6.6 მხარეთა შორის წამოჭრილ დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. დამქირავებელს/მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად."

1.10 ძირითადი ხელშეკრულების სხვა ნაწილები დარჩეს უცვლელი.

1.11 ეს შეთანხმება ძალაში შევიდეს მისი ხელმოწერისთანავე.

1.12 ეს შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამქირავებელს, ერთი გამქირავებელს, ერთი გამყიდველს, ერთი რეგისტრაციის მიზნით წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს.

გამქირავებელი

დამქირავებელი/მყიდველი

გამყიდველი

"გამქირავებელი"
შპს "ბაჯითი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 401948041
მის.: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №100
დირექტორი: მიხეილ კვეტენაძე (პ.ნ.: 18001002857)

"დამქირავებელი"
სს "თიბისი ბანკი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595
მის.: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7
დირექტორი: ვახტანგ ბუჯხრიკიძე (პ.ნ.: 01010002658)

"გამყიდველი"
შპს "სოფთმასტერი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204436994
მის.: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №100
დირექტორი: მიხეილ კვეტენაძე (პ.ნ.: 18001002857)

გამქირავებელი | დამქირავებელი/მყიდველი | გამყიდველი

შეთანხმება
ხელშეკრულების ცვლილების
თაობაზე

შეთანხმების თარიღი: 2016 წლის 20 იანვარი
,,ბანკი"ან/და დამქირავებელი სს „თიბისი ბანკი" ს/კ 204854595 მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის N7 წარმომადგენელი: გენერალური დირექტორის მოადგილე ვანო ბალიაშვილი, პ/ნ 01008014806
,,გამქირავებელი" შპს ბაჯითი ს/კ 401948041 დირექტორი - მიხეილ კვეტენაძე პ/ნ 18001002857
ხელშეკრულება 2011 წლის 24 იანვრის ქირავნობის ხელშეკრულება. ქირავნობის საგნის საკადასტრო კოდი 01.14.14.004.007.01.500**,** მისამართი: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N33-ე.

პრეამბულა

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 3.4. პუნქტის საფუძველზე, მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი:
   შეთანხმების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებულ ზემოთხსენებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.
2. განხორციელებული ცვლილება:
   - ზემოთხსენებული ხელშეკრულების **3.1** პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ **3.1.** 2016 წლის 1 თებერვლიდან 2018 წლის 1 თებერვლამდე ყოველთვიური ქირა განისაზღვრება 000 (ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსისი შესაბამისად, დღგ-ს ჩათვლით, ხოლო 2018 წლის 1 თებერვლიდან ხელშეკრულების მოქმედების ბოლომდე ყოველთვიური ქირა განისაზღვრება ( ) აშშ დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსისი შესაბამისად, დღგ-ს ჩათვლით."
   - ზემოთხსენებული ხელშეკრულების **3.4 და 3.5.** პუნქტები ჩაითვალოს ძალადაკარგულად.
   სხვა დებულებები:
3.1 წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს ზემოთხსენებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.2 ზემოთხსენებული ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა უცვლელი რჩება და მოქმედებს მის სრულად შესრულებამდე.
3.3 შეთანხმება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე სამ იურიდიულ ეგზემპლარად, რომლეთაგან ერთი წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს, ხოლო დანარჩენი გადაეცემათ მხარეებს.

ხელმოწერები

ბანკი

გამქირავებელი